საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 223 სამშაბათი, აპრილის 17 (29) 1918 წ. № 223

სახალხო საქმე

27

მთავარი კომიტეტის ორგანო

ყარსის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. არპაჩაისკენ იხევს.—ყარსიდან 125 ათასი ლტოლვილი მოდის ტფილისისკენ.—ახალციხეში დელეგაცია გაიგზავნა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად.—ირლანდიაში დიდი ბრძოლაა სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ.. კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარათოვის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., ხახანაშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—28

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

მელქო სოფრომის ძე კიკნაძე ოჯახობით და ნინუცა კიკნაძისა აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 19 აპრილს დანიშნულია დაბა ხარაგოულში პანაშვიდი ხარაგოულის საზოგადოებისთვის დაუვიწყარი ტრაგიკულად გარდაცვლილი

1473

ექიმ ვარლამ საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად. 144

ღრმად დამწუხარებული შვილები გიორგი და ვანო და შვილი-შვილი ქეთო გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი

მაქსიმე გიორგის ძე იობაშვილი

პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (კონსტანტინესის ქუჩა № 18 მე-7 უბ.) გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 18 აპრილს საკუთარი ბინიდან წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 10 ს. დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაოზე. 147

კვირას 29 აპრილს (ახ. სტ. 12 მაისს), დღის 12 საათზე,

ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია

ქ ზ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1. 1916—1917 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში (§ 18).
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ.
4. 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა.
5. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა (§§ 17,31).
6. სასკოლო, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამომცემელი და სამუზეუმო სექციათა არჩევნები.

საზოგადო კრებას ესწრებიან განყოფილებათა რწმუნებულები (თანახმად წესდების მე-15 მუხლისა).

რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები.

პროვინციიებიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად. 1147

განცხადება

სანოვაგო კომისია მთავარ გზების კომიტეტის ამიერკავკასიის რკინის გზისა, იწვევს მსურველ ვაჭრებს, რომელთაც შეუძლიათ იკისრონ ჩაბარება საჭირო სანოვაგისა.

სანოვაგე უნდა ჩაბარდეს რომელსამე სადგურზე ამიერკავკასიის რკინის გზაზე.

ნახვა მოსალაპარაკებლად შეიძლება დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე.

მისამართი: ტფილისის სადგური ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი ამიერკავკასიის რკინის გზისა. 1150

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ.
კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00
დღეს 17 აპრილს გაიმართება

სადღესასწაულო წარმოდგენები

დღეს ყველაფერი ახალია. კლოუნების კონკურენცია. მონაწილეობენ: ბონ-ბონ და ბოდი. შესრულებენ არიებს ტრავიატიდან, კორნევილის ზარებს და სხ.

ანონსი: 18 აპრილს გაიმართება ბენეფისი კომიკოსების. 146

ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსის
განცხადება

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კერძო ავტომობილების პატრონები, რომელნიც ტფილისიდან კავკავში დადიან და წინაუკმო, ვალდებული არიან ყოველთვის გამგზავრების წინ წაიღონ ტფილისის ფოსტიდან ტომარა წერილებით და გაზეთებით კავკავის ფოსტაში მისატანად.

ის ავტომობილები, რომელნიც არ ემორჩილებიან ამ განკარგულებას, არ იქმნებიან გაშვებული საქართველოს სამხედრო გზით. ასევე მოეპყრობიან კავკავიდან მომავალ ავტომობილებს.

ავტომობილისათვის გადასაცემი ტომარა ტფილისის საფოსტო სადგურის პირდაპირ იქნება, ოლღას ქუჩაზე.

თუ იმ ავტომობილების შემდეგ, რომელნიც კორესპონდენციას წაიღებენ, იმავე დღეს სხვა ავტომობილებით გაემგზავრებიან კავკავში, უკანასკნელებს დაუბრკოლებლივ გაუშვებენ.

ეს დადგენილება უთუოდ უნდა იქმნას შესრულებული 15 აპრილიდან.

მილიციის უფროსის მაგივრად პავლიევი. 1146

ტფილისი, 16 აპრილი 1918 წ.

ბოლშევიკების ავანტიურა. ის, რაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს ბაქოში, ნამდვილი ავანტიურაა, რადგანაც მათ არ შეიძლებოდა არა სცოდნოდათ, რომ აჯანყება აუცილებლად ეროვნულ ბრძოლად გადაიქცეოდა. საღი პოლიტიკური აზროვნება ყოველთვის უწევს ანგარიშს ობიექტიურ პირობებს და შეგნებული პოლიტიკური მოღვაწენი არც გადასდგამენ ნაბიჯს, თუ წინდაწინვე არა აქვთ გათვალისწინებული რანაირი შედეგი მოჰყვება მათს ნაბიჯს. სწორედ ასეთი პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს ბაქოს ბოლშევიკებმა. მათ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს იმ გარემოებას, რომ ბაქოში დიდ-ხანია დაგროვილი იყო სახიფათო ააფეთქებელი მასალა—ეროვნული შუღლი—რომელსაც განელება უნდოდა, შესუსტება და არა გაღრმავება. მაგრამ ბოლშევიკები ისე—არიან გაფანატიკოსებულნი, ისე არიან გაძღენთილნი თავიანთი ერთხელ აკვიატებული აზრით, რომ თავიანთ ცხვირს იქით ვერაფერსა ჰხედავენ და განსაცდელში აგდებენ უმეტეს წილად დემოკრატიულ მასსას. ერთს გაზეთში დაბეჭდილი იყო ბაქოს ამბების აღწერა. სხვათა შორის მოყვანილი იყო აზრი ბაქოელი სალდათისა, რომელსაც უთქვამს, ბურჟუებს ვებრძოდით და პროლეტარიატი კი გავსწყვიტეთო. მართლაც, როგორც ირკვევა, ბაქოში დაზარალებულა უმეტეს წილად მაჰმადიანთა ღარიბესი ნაწილი რომელიც თითქმის სულ ამოწყვეტილა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიერკავკასიის კონკრეტიულ პირობებში ისეთს გამოსვლას, რანაირსაც ადგილი ჰქონდა ბაქოში, მხოლოდ ეროვნული ჟლეტა შეიძლება მოჰყვეს შედეგად და ეროვნული ჟლეტის დროს კი აუცილებლად ღარიბესი ნაწილი ზარალობდა ყველაზე მეტად.

ყოველივე ეს არ შეიძლებოდა არა სცოდნოდათ ბაქოს ბოლშევიკებს, მაგრამ ისინი არამც თუ ბაქოს ამბებით არ დაკმაყოფილდნენ, ტფილისისაკენაც კი გამოიწიეს, რათა ჩვენშიაც გაეჩაღებინათ დამღუპველი და გამანადგურებელი ძმათა ბრძოლა. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ბოლშევიკების მოძრაობას პირდაპირ კატასტროფიული ხასიათი ექნება ამიერკავკასიისთვის, იგი სისხლს ბევრს დააქცევს და პოლიტიკურს შედეგს კი ისეთს მიაღწევს, რანაირსაც ბაქოში მიაღწიეს: საუკუნო უფსკრულს გასთხრის ამიერკავკასიის ერთა შორის და რუსეთის ბატონობას კი მაინც ვეღარ განამტკიცებს.

ამიტომ ყოველი შეგნებული ადამიანის ვალია სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს იმ დამღუპველ პოლიტიკას, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ; ყოველი შეგნებული ადამიანის ვალია თავიდან ააცილოს ამიერკავკასიას მოქალაქობრივი და ეროვნული ჟლეტა და ბრძოლა.

ომის დეპეშები

ტფილისი, 15 აპრილი.

„ანდონსანი"

სტამბოლი. 28 აპრილი. საომარი ცნობა 27 აპრილისა.

პალესტინის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა, რომელიც ნობლუსის მიმართულებით შეტევას აწარმოებდა, რამდენადმე წინ წაიწია: დაიპყრო მტრის პოზიციები ნახის, იაბუზის და სეიხის მახლობლად.

ბერლინი. 28 აპრილი. ოფიციალური საომარი ცნობა 27 აპრილისა.

დასავლეთის ფრონტი. ვიტჩადეს ჩრდილოეთით კოლლენბეკემდის წავიწიეთ წინ სამხრეთიდან. უნაყოფოდ დამთავრდა ინგლისელებისა და ფრანგების ცდა კემმელის უკან დაბრუნებისათვის. ვიკკელბუშსა და ლაფეხს შუა და ლაფერიდან რანოტერის დასავლეთით მტერმა იერიშები მიიტანა, მაგრამ ის უკუქცეულ იქნა, რადგან გარდაუვალ ცეცხლში მოვამწყვდიეთ: მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ. მტრის იერიშები მორეულა და ლასის ჩრდილო-აღმოსავლეთით უნაყოფოდ ჩატარდა. სკარპსა და სომას შუა მზვერავთა რაზმების მოქმედება სწარმოებს. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე მრავალი საარტილერიო ბრძოლა იყო, რომელთაც არავითარი ნაყოფი არ გამოიღეს არც ერთი მხარისათვის.

პარიზი. 28 აპრილი, საომარი ცნობა 27 აპრილისა. გასული ღამეების განმავლობაში ქვეითა ჯარის მოქმედება არ ყოფილა. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება სომის სამხრეთით და ავრის ორსავე ნაპირას. ჰაფფისა და კორიფე-ლე-შამბრეტის ტყიან ადგილების რაიონში დიდი სროლა იყო ზარბაზნებით. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

„ტაიმსის" დეპეშა. სასტიკი ბრძოლის გაგრძელება დასავლეთის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარისათვის ნაყოფიერი იყო. მტერი ყველა უბანში დააკავეს და მოკავშირეებმა რამდენიმე ასი ტყვე ჩაიგდეს ხელში. მტერმა მრავალჯერ სცადა იერიშების მოტანა ლისის ჩრდილოეთით, მაგრამ უნაყოფოდ: მას დიდი ზიანი მიაყენეს. მან დაიპყრო სოფ. გონახი, მაგრამ ძლიერი იერიშის შემდეგ ის უკუაქციეს და დიდი ზიანიც მიაყენეს. მოკავშირეებმა პოზიციები ვილერ-ბრეტონამდე წასწიეს. ტყვეების რიცხვი ამ რაიონში 900-ს აღემატება. ტყვეები წარიყვანეს აგრეთვე შემდეგ ბრძოლაში კემმელის რაიონში.

„ეხო დე პარი" ამბობს, რომ ადგილობრივი იერიშებით უკუქცეული მტერი დიდად დაზიანდა ვილერ ბრეტონში.

საფრანგეთის მთავარი ბანაკის ცნობა. 26 აპრილის ღამის განმავლობაში მტერმა იერიში მიიტანა ერთს ჩვენს პოზიციაზე ოტურ-ესტალინის მეზობლად და დაიპყრო ის. ადგილობრივი იერიში ჩვენს პოზიციაზე ნერილის სამხრეთ-დასავლეთით მოგერიებულ იქნა ტყვიის მფრქვეველებისა და თოფების ცეცხლის საშუალებით. მტერმა მოახერხა მეორე ხარისხოვანი სიმაგრეების დაკავება.

ბრიტანიის ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

ბერლინი. 25 აპრილი. დილის ოფიციალური ცნობა. ფრონტზე ახალი არაფერია.

სტამბოლი. 24 აპრილი. (მიღებულია გერმანულ ენაზე). გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ცნობა. ფლანდრიის ფრონტზე ფრანგებმა უკან დაიხიეს თავის პოზიციებისაკენ. ლანგემარკის სამხრეთით მტერმა ტიენბახი გადალახა. ბრძოლის შემდეგ მტერს ვილლიე დავაცლევინეთ. აქ ჩვენ ათასზე მეტი კაცი დავატყვევეთ. ჩვენ მივაღწიეთ იმ ხაზამდე, რომელიც ლანგემარკის სამხრეთ-დასავლეთით და სიმბახის დასავლეთ სანაპირომდეა, და ბოკე-ხოგეს ხაზამდე. სასტიკი საარტილერიო ბრძოლა იყო კემმელის მიდამოებში. ფრანგების განდევნის შემდეგ, 28 აპრილს საღამოს, მთების დასავლეთ კალთების პირდაპირ ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტერი გარეკა და ლოკერამდე მიაღწია. ლისის ჩრდილო ნაპირას რამდენიმე ინგლისელი დავატყვევეთ. დევერკის მახლობლად ინგლისელების იერიშები მოვიგერიეთ. სომის ორსავე ნაპირას საარტილერიო მოქმედება გრძელდება და მზვერავთა რაზმების მოქმედებაა. სანგარის ტყესთან მტრის კანტი-კუნტი შეტევა უნაყოფოდ ჩატარდა.

პარიზი. 28 აპრილი. ზეებრიუგესთან ინგლისელებს მოუკლეს 16 ოფიცერი, 29 დაუჭრეს; ჭრილობისაგან გარდაიცვალა 3, უკვალოდ დაიკარგა 2, მოკლულია 144 მეზღვაური, ჭრილობისაგან გარდაიცვალა 25 დაჭრილია 355, უკვალოდ დაიკარგა 14.

მოკავშირეთა საზღვაო საბჭომ თავისი მუშაობა დაასრულა. საგულისხმო დადგენილებებია მიღებული, რომელთა მიზანია უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გამტკიცება მოკავშირეებს შორის ზღვაზე. უკანასკნელ სხდომაზე ყველამ აღიარა მეზღვაურების სიმამაცე და რაინდობა, რომელიც მათ ზეებრიუგესა და ოსტენდეში გამოიჩინეს.

მოსკოვი (სააგენტოს დეპეშები). ჩრდილოეთის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მტერმა დაიპყრა პუტიატინი. მე-2 ლაშქრის ფრონტზე არტილერიის მოქმედება სწარმოებს. პავლოგრადთან ბრძოლა შეჩერდა. მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს კურსკთან, რომელიც ხელიდან ხელში გადადის. 21 აპრილს გერმანიის ჯარის უფროსის წინადადების თანახმად დანიშნულ იყო სხდომა, სვეაბორგის ციხე-სიმაგრის ფინლიანდიისთვის გადაცემის შესახებ. ციხე სიმაგრის და ფლოტის უფროსებმა განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ განკარგულება ამ ციხე-სიმაგრის გადაცემის შესახებ, მაგრამ გერმანიის მთავრობამ გამოაცხადა რომ ეს ციხე-სიმაგრე ძალით იქნება გადაცემული.

კიევთან ორი პოლკია გერმანელების ჯავშნოსანი მატარებლებით და ტყვიისმფრქვეველებით. როსტოვში მშვიდობიანობაა.

რადიო-დეპეშები

პეტროგრადი. 24 აპრილი. ხმები იყო ვიბორგი და ბელოოსტროვი თეთრმა რაზმელებმა დაიკავესო. ამის გამო იუწყებიან, რომ ფინლანდიის რკ. გზის ვიბორგის ხაზი წითელი რაზმელების ხელშია. ფინლიანდიიდან გასვლა დაუბრკოლებლივ შეიძლება. პეტროგრადიდან ბელოოსტროვს იქით აღარ შეიძლება. სასწრაფო ზომებია მიღებული რკ. გზის დასაცავად. მზად არის ბრძოლისათვის ჯავშნოსანი მატარებლები, რომელთაც მრავალი ტყვიის მფრქვეველი და ზარბაზნები აქვს.

ვიბორგის და მის მიდამოების სამხედრო ქონების ევაკუაცია მთავრდება.

უკრაინის ფრონტი. ზემო ოსკოლში მდგომარეობა უცვლელია. სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერმა პუტიარი დაიკავა. მეორე არმიის ფრონტზე კანტი-კუნტი საარტილერიო სროლაა. მტრის წინსვლა პავლოგრადის რაიონში შეჩერებულია. სამხრეთის არმიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. კორენევო ხელიდან ხელში გადადის. ქუჩებში მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. გუშინ ჩვენი მდგომარეობა ჯერ არ იყო გამორკვეული. რჟავას სადგური მტრის ძლიერმა ძალებმა დაიკავეს.

კურსკი. 24 აპრილი. კორენევოში ჩვენი ჯარი შევიდა. საღამოს 8 საათიდან ქუჩებში სასტიკი ბრძოლაა ჩვენი შტაბის უკანასკნელი ცნობით ობოიანში არ არის გერმანელების დიდი ძალები. ბელოგოროდის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. რჟავას (ყოფილი კლეინმიხელევოს) სადგური ჩვენმა ჯარმა დასტოვა.

ლონდონი. 23 აპრილი. ინგლისის და საფრანგეთის შეერთებული ძალები ვიცე-ადმირალ როჯერსის მეთაურობით ანგრევენ გერმანელების სიმაგრეებს ოსტენდესა და ზეებრიუგეში.

ამსტერდამი 23 აპრილი. გაზეთ „ხანდელს ბლადის" ცნობით ირლანდიელთა რიცხვი, რომელიც ირლანდიაში სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ იბრძვის, 3 მილიონს აღემატება. სამხედრო ბეგრის შემოღების გამო უკვე იღვრის სისხლი, სინფეინერებმა იერიშები მიიტანეს საპოლიციო პოსტზე პორტატლისის სადგურთან. სროლის დროს ერთი მოჰკლეს, ერთიც სასიკვდილოდ დაჭრა.

პეტროგრადი. 25 აპრილი. ირლანდიაში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდება. ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ ბრძოლა რევოლიუციონური ხასიათის ღებულობს და ყველა მცხოვრებს იზიდავს თავისკენ. ინგლისის ჯარმა დაიკავა ვოკზალები, ფოსტამტები, ტელეფონის ბიურო. ირლანდიის ხალხი მეტად აღელვებულია.

პეტროგრადი. 26 აპრილი. „ნაშ ვეკს" ბაზელიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ გერმანული პრესა სავსეა ცნობებით, რომელთა მიხედვით უკრაინის მცხოვრებთა შორის დიდი არეულობაა.

მოსკოვი. 26 აპრ. ისპანიის მთავრობამ განაცხადა, რომ მიღებული ვალდებულობის თანახმად მას შეუძლია გადასცეს რუსეთის საელჩოს გასაღები ბერლინში იმ პირს, რომელსაც გერმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მთავრობა წარმოადგენს, როგორც რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა სთხოვა გერმანიის მთავრობას მოახსენოს ისპანიის მთავრობას, რომ სახალხო კომისარების რუსეთის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი არის იოფფე.

ირკუტსკი. 25 აპრილი. დეპუტატთა საბჭოს ხელახალი არჩევნები მოხდა: გავიდა 170 ბოლშევიკი, 27 მემარცხენე სოც.-რევ., 19 მენშევიკი და 14 მემარჯვენე სოც.-რევ.

პარიზი. 28 აპრილი. ინგლისის მეფემ დეპეშა გაუგზავნა ინდოეთის ვიცე-კოროლს სამხედრო კონფერენციის გამო, რომელიც 27 აპრილს შეიკრიბა დელიში. მეფე თავის კმაყოფილებას გამოსთქვამს ინდოეთის პრინცების პროვინციის მთავრობების წარმომადგენლების და ყველა სექტის ლიდერების განცხადების გამო ინდოეთის ხალხის ლოიალობის შესახებ. ხალხი დახმარებას ღუთქვამს ყოველგვარი საშუალებით ამ ომში, რომელიც მთელი ქვეყნის თავისუფლებას ემუქრება.

ახალი სტილი

ტფილისი. 14 აპრილი. (ანდრონსანი). კანონი ახალი სტილის შემოღების შესახებ ამიერკავკასიაში:

1. ნაცვლად ამიერკავკასიაში ხმარებული იულიოსის სისტემისა (ძველი სტილის) შემოღებულ იქმნას გრიგოლის სისტემა (ახალი სტილი) იმ დებულებათა დაცვით, რომელიც ქვემოთ მოყვანილ 2—8 მუხლებშია.

2 სამშაბათს ღამის 1 საათიდან ითვლებოდეს 1918 წლის 1 მაისი.

3. ყოველგვარი ჯამაგირი, ჯილდო და შრომის ფასი, რომელიც ეკუთვნის აპრილის სამსახურისათვის სახელწიფო და კერძო დაწესებულებათა და კერძო პირებთან მოსამსახურეებს მიეცეს 17 აპრილს იმ ანგარიშით, რომ მათ კუთვნილ ჯამს გამოაკლდეს ცამეტი მეოცდაათედი თვიური ჯამაგირისა.

4. ხელშეკრულებაში, თამასუქში და სავალდებულო ურთიერთობის გამომხატველ სხვა ქაღალდებში დადებული ვადა და აგრეთვე ვადა პროცესიალური და დროის განმსაზღვრელი, რომელიც 18 სა და 30 აპრილს შუა მოდის ითვლებოდეს 1-სა და 13 მაის შუა ისე, რომ ყოველ ვადას 13 დღე ემატებოდეს.

5. 1918 წლის 17 აპრილამდე დადებულ ხელშეკრულებაში, თამასუქში და სავალდებულო ურთიერთობის გამომხატველ სხვა ქაღალდებში ყოველი ვადა, კალენდრის დროთ განსაზღვრული, რომელიც 1918 წლის 17 აპრილის შემდეგ დადგება, ძველი სტილით ითვლებოდეს 13 დღით გვიან.

6. ყოველგვარი პროცესუალური და დროის განსაზღვრული ვადა, რომლის თვლა 1918 წლის 17 აპრილამდე იწყებოდა და შემდეგი თვეების სათანადო რიცხვებში თავდება, 13 დღით გვიან ითვლებოდეს ახალი სტილით.

ოფიციალური დეპეშები

1918 წლის 15 აპრილი, 12 ს.

ზღვის სანაპიროების მიმართულებით მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

ყარსის რაიონში ჩვენი ნაწილები მდ. არპაჩაისკენ იხევს.

შატილოვი.

მოწოდება

ამხანაგებო და მოქალაქენო!

ჩვენი ამხანაგები, ძმები, ნეკრუტები ფრონტზე იმყოფებიან სამშობლოსა და ჩვენის კეთილდღეობისთვის. ისინი თავდადებულნი არიან, ფიცი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოლონ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

მოიგონოთ ეხლა ისინი და გაუმასპინძლდეთ **საალდგომო საჩუქრით** ვისაც რით შეუძლიათ: ნამცხვრით, სასმელით, თამბაქოთ, სახელდახელო ნივთებით...

ყველაფერს სიხარულით და მადლობით მიიღებენ ჩვენი გმირი ამხანაგები.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მოიგონეთ თქვენი მოვალეობა და დაეხმარეთ ფრონტის ჯარის კაცებს, ნუ გამოისტუმრებთ ხელცარიელს თქვენ კარზე კომისიის დავალებით მოსულ ქალებს, რომლებსაც ექნებათ სია ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული. აგრეთვე შეიძლება ყოველგვარი შემოწირულების მიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში დღით 9-დან 3 საათამდე.

ახალი ამბავი

◆ **„სახალხო საქმის“ ასოთამწყობთა მოუცლელობის გამო დღევანდელი ნომერი გამოდის ნახევარი ფურცელი.**

◆ **საფრანგეთის მთავრობის აგენტი.** ტფილისში ჩამოდის საფრანგეთის მთავრობისაგან გამოგზავნილი აგენტი. იგი მოდის საქართველოს სამხედრო გზით. სადგურ ფასანაურთან ავტომობილი წუხდა და აქედან ახალი გაუგზავნეს.

◆ **ნატანებიდან** 15 აპრილს სურგულაძე მთავრობას ატყობინებს: „ტელეგრაფი ბათომსა და ტფილისს შუა აღადგინეს დღეს 17 ს. 45 წ.

◆ **მთავრობის სხდომა.** 16 აპრილს შესდგა მთავრობის სხდომა. განიხილეს საკითხები საზავო დელეგაციის შემადგენლობის, აგრეთვე მინისტრების მოხსენებანი ფინანსების ვაჭრობა-მრეწველობის, მიმოსვლის და ამიერკავკასიის ეკონომიურ პოლიტიკას შესახებ.

◆ **125 ათასი ლტოლვილი.** ყარსიდან ტფილისისაკენ გამოემგზავრა 125 ათასი ლტოლვილი.

◆ **თანამდებობიდან განთავისუფლება.** თანახმად თხოვნისა განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან მზრუნველობის მინისტრის ამხანაგი ა. ლ. მიასნიკოვი.

◆ **ზურაბ ავალიშვილი.** პეტროგრადიდან ჩამოვიდა პროფესორი ზურაბ ავალიშვილი.

◆ **ტელეგრაფი ბათომსა და ტფილისს შუა.** უკვე შეუდგნენ სატელეგრაფო კავშირის მოწესრიგებას ბათომსა და ტფილისს შუა. ტელეგრაფის ხაზი ჩოლოქამდე უკვე აღადგინეს („ანდრონსანი“).

სომეხი ლტოლვილები ვანიდან ხოიში შეკრიბნენ და ჯულფისაკენ გაემგზავრნენ, რადგან სპარსეთის მთავრობა ვერ სცნობს შესაძლებლად, რომ ისინი სპარსეთში დარჩნენ პურის ნაკლებობის გამო. ლტოლვილთა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა მათ დახმარება აღმოუჩინოს („ანდრონსანი“)

◆ **ბრძოლა ყაჩ ღობასთან.** განკარგულებაა გაცემული, რომ გორის რაიონში მუდმივად დადიოდეს ჯავშნოსანი მატარებელი: ამის მიზანია ყაჩაღობასა და ძარცვას-გლეჯასთან ბრძოლა. („ანდრონსანი“)

◆ **განათლების მინისტრის ამხანაგად** დაინიშნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის წევრი შახტახტინსკი („ანდრონსანი“)

◆ **ნავთის ნაკლებობა.** რადგან ნავთის მილებით ნავთის გადმოტანა სრულებით შეწყდა, სურსათის სამინისტრომ განკარგულება მისცა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს შეშისა და ნახშირის საშუალებით აწარმოონ მუშაობა ყველა სამრეწველო დაწესებულებაში, გარდა იმ დაწესებულებათა, რომელნიც შინაგანი წვის მამოძრავებელი მანქანებით მუშაობენ („ანდრონსანი“)

◆ **ახალი ნოტები.** რედაქციამ მიიღო კოტე ფოცხვერაშვილის ნამუშავევი ნოტები: „დიდება“ (ქართული ეროვნული ჰიმნი) და „ლაშქრული“ (ქართული საომარი სიმღერა). სიტყვები ორივე ნაწარმოებისა თვით კ. ფოცხვერაშვილს ეკუთვნის.

◆ **ბათომიდან ცაგურიას** სამთო ცხენოსანთა ბატარეის თავისუფალ მოლაშქრე გიო აბაშიძისაგან მოვიდა წერილი, რომელშიაც გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ კაპიტანი ცაგურია და ყველა ოფიცრები და ჯარის კაცები ბატარეის იმ ნაწილის, რომელიც ბათომში იდგა, უვნებლად კარგად დი არიან და ამ ჟამად ბათომში ტყვეთ იმყოფებიან.

◆ **ჟურნალი „ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ჯეჯილის“ ამა წლის იანვრის ნომერი. ჟურნალში ორი განყოფილებაა—მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის და მისი შინაარსი ფრიად მდიდარი და მრავალფეროვანია. ჟურნალს ხელმძღვანელობს ახლად შემდგარი სარედაქციო კოლეგია.

სარდაფებში მომუშავენი. სარდაფებში მომუშავეთა პროფესიონ. კავშირი აცხადებს, რომ სარდაფებში მუშაობა შეწყდება პარასკევს პირველ საათზე სამშაბათ დილამდის.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებაში.** დღეს, 17 აპრილს, სალ. 6 საათზედ ფრეილინის ქ. № 11 დანიშნულია საზოგადო კრება მოსასმენად მოხსენება კომისიისა შესახებ სამხედრო სატეხნიკო კომიტეტისა და სხვ. დასწრება შეუძლიათ არა წევრთაც.

◆ **ვახო აბაშიძის იუბილეს გამო.** რედაქციამ შემდეგი დეპეშა ქუთაისიდან: „ქუთაისის ქარ. დრამატიული საზოგადოება სალამს უძღვნის ქართული სცენის მხცოვან მუშაკს 40 წლის იუბილეს დღეს და ულოცავს ძვირფას იუბილიარს განახლებული ძალით კიდევ მრავალ წელს ემსახუროს განთავისუფლებულ, დამოუკიდებელ საქართველოს. საზოგადოების გამგეობა გთხოვთ მობრძანდეთ ქუთაისში სამი მაისისთვის; ამ დღისთვის განზრახულია თქვენი იუბილეს მოწყობა ქუთაისში“. გამგეობის თავმჯდომარე **აკაკი ფაღავა, მდივანი დ. წერეთელი.**

◆ **ბინების რეკვიზიცია.** ამიერკავკასიის მთავრობამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობის ბინის განყოფილებას განკარგულება გასცეს, რომ შეაჩერონ ფრანგულ ფირმის „რალლის და ამხ.“-ს მიერ დაჭერილი ბინის რეკვიზიცია ამასთანავე მთავრობამ განმარტა, რომ საფრანგეთის მოქალაქეთა ბინის რეკვიზიცია შეუძლებელია რუსეთისა და საფრანგეთს შორის 1817 წ. დადებულ კონვენციის ძალით. ეს კონვენცია ძალას არ ჰკარგავს, ვიდრე სეიმი ამის საწინააღმდეგო დადგენილებას არ გამოიტანს.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატმა** აცნობა ყველა საშუალო სასწავლებლის უფროსებს ტფილისში: „იმის გამო, რომ ტფილისში მრავალი ლტოლვილია, რომელთა შორის არიან მასწავლებელნი თავიანთ ოჯახებით და მოწაფეები, და იმის გამო, რომ იმათთვის ქალაქის თვითმართველობას არა აქვს ბინა, სასწავლებლების გარდა, ქალაქის თვითმართველობა სთხოვს კომისარიატს: შესწყვიტოს სწავლა ტფილისის ყველა სასწავლებელში. კომისარიატი ამისათვის გთხოვთ თქვენ დაამთავროთ სწავლა 18 აპრილამდის. დარჩენილია 4 დღე, როდესაც გადაწყდება საკითხი მოწაფეების გადაყვანისა შემდეგ კლასში. კომისარიატმა სთხოვა ქალაქის თვითმართველობას, რომ 5 ან 6 ოთახი დარჩეს თავისუფალი სასწავლებლის საჭიროებისათვის, ამ ოთახებში მასწავლებლებს ექნება საშუალება განაგრძონ სწავლა ჩამორჩენილ მოწაფეებთან. კომისარიატის აზრით საჭიროა ყურადღება მიაქციონ იმ მოწაფეებს, რომელნიც ხშირად აკლდებოდნენ სწავლას და გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობდნენ. სასწავლებლების დაჭერის დროს საჭიროა მიაქციონ ყურადღება: 1) სასწავლებელში არვინ შეუშვან, თუ განკარგულება არ არის ლტოლვილების განყოფილების თავმჯდომარისაგან. 2) სასწავლებლის უფროსები იმავე თავმჯდომარესთან უნდა შეთანხმდნენ თუ რომელი უნდა დასტოვონ სასწავლებლის საჭიროებისათვის.

◆ **ახალციხეში გაგზავნილი დელეგაცია.** ამიერკავკასიის სეიმის წევრები; ი. ეიხულ-ისლამოვი და ა. კანტემიროვი დელეგატებად გაგზავნეს ახალციხეში: საჭირო ზომები მიიღონ მცხოვრებლებში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. ამის შესახებ აცნობეს ბორჯომში მიწათმოქმედების მინისტრს ნ. ხომერიკს და გენ. არჯევანიძეს, სამტრედიაში გენ. გაბაშვილს.

ლტოლვილები. ყარსის საოლქო კომიტეტის კომისარი ძამოევისაგან მიღებულია დეპეშა: „ყარსიდან რამოდენიმე ათასი ლტოლვილი მოდის, ნაწილი შეიარაღებულია. ლტოლვილთა შორის არიან ოსმალეთის სომხები. მთავრობამ ამ დეპეშის განხილვის შემდეგ დაადგინა: მოსთხოვოს ოსმალეთის მთავრობას ყარსის ევაკუაციისთვის დანიშნულ ვადის გაგრძელება.

◆ **მკვლელობა.** ღამით 15 აპრილს მიხეილის ქუჩაზე, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ შეიარაღებულ ჯარის-კაცთა ჯგუფი შემოეხვია მე 10 კომისარიატის მილიციონერს ივ. ხარებაშვილს და რევოლვერით მოჰკლეს.

— იმ ღამესვე ვორონცოვის ქ. ბოლოს ჩოფურაშვილის სასადილოში მოჰკლეს ა. ჩხეიძე.

ამიერ-კავკასიის სეიმი

13 აპრილი

სხდომას თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე, რომელიც კითხულობს სიას **აკაკი ჩხენკელის კაბინეტის მინისტრებისას.** კაბინეტი იმავე შემადგენლობისაა, აწ დღეებში რომ იყო გაზეთში გამოცხადებული. შემდეგ ამისა სეიმი ისმენს პრემიერ-მინისტრის **აკაკი ჩხენკელისაგან** მთავრობის დეკლარაციას, რომელიც გაზეთში ცალკე მოგყავს.

დეკლარაციის დასრულების შემდეგ ლაპარაკობენ სხვა და სხვა ფრაქციათა წარმომადგენელნი.

რასულ-ზადე (მუსსავათი) ხაზს უსვამს დღევანდელ გარდამავალ მომენტს, აღნიშნავს, რომ სხვა და სხვა ბნელი ელემენტები უკვე შეიჭრა ამიერკავკასიის საზღვრებში და ცდილობს ძალით მოახვიოს თავზე კომისართა საბჭოს ძალა-უფლება, რომ ამ ბნელმა ძალებმა უკვე დაიპყრეს ბაქო და სოხუმი და იხსენიებს, რომ ასეთ დროს სწორედ ისეთი დეკლარაცია იყო მოსალოდნელი, რომელიც აქ მოვისმინეთ. სიტყვის ბოლოს რასულ-ზადე სიამოვნებით და კმაყოფილებით ეხმაურება მთავრობის გარდაწყვეტილებას შეიქმნას ერთი და მტკიცე მთავრობა და სურვილს გამოსთქვამს ამიერკავკასიის ფედერაციაში მოწვეულ იყოს დაღესტანიც, რომლის შესახებ მთავრობამ ალბად იმიტომ არა სთქვა-რა თავის დეკლარაციაში, რომ არავითარი ოფიციალური ნება სურვილი მას ჯერ არ გამოუთქვამს.

ბოლოს იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ამ მხრივ ნაბიჯს შეუჩერებლად გადასდგამს. მთავრობას ჩვენ ყოველ მხრივად დაუჭერთ მხარს.

წერეთელი. სოც.-დემ. ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის პირველ მთავრობის დეკლარაციაში აღნიშნულ პოლიტიკას ჩვენ მხარს ვაძლევთ. მძიმე პირობებში მოუხდათ ამიერკავკასიის ერებს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ჩვენ ს. დ. ფრაქცია, მუდამ რომ ინტერნაციონალურ დემოკრატიის თვალსაზრისზე იდგა და ამ თვალსაზრისით იცავდა იმ ხალხთა ინტერესებს, ვისაც კი სწამდა მათის წარმომადგენელთა იდეები, განსაკუთრებით მძიმედ განიცდის იმ პირობებს, რომელთა შორის ამიერკავკასიის უხდება დამოუკიდებლივ მოწყობა თავის ბედისა და მომავლისა. აქ სამართლიანად აღნიშნავდნენ გარეშე ძალთა და გარემოებათა ზეგავლენას ამ აქტის გამოცხადებაზე და რადგან ყველას ცხადად არ ჰქონდა წარმოდგენილი გათვალისწინებული ჩვენი ფრაქციის შეხედულებანი, ამიტომ მე მათ ვრცლად ვიტყვი. დიახ, გარეშე ძალამ გვაიძულა დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა და ეს გარეშე იძულებითი ძალა იყო ბოლშევიზმი (ხმები: მართალია) ის ბოლშევიზმი, რომელმაც რევოლუციონერ რუსეთში გაიმარჯვა და რომელიც ამ რუსეთის სხეულის ხრწნის მთელი თვეების განმავლობაში.

ჩვენ ვლაპარაკობდით მთლიან რევოლუციონურ რუსეთზე, რუსეთში მცხოვრებ ერთა სამსახურზე და ჩვენ, ამიერკავკასიის ერთა წარმომადგენელნი რომელნიც უნდა ვიცავდეთ აქ მცხოვრებ ხალხთა ინტერესებს, ქართველთა, სომეხ, მაჰმადიან და ადგილობრივ რუს მოსახლეობის ინტერესებს, ერთად ვიბრძოდით რევოლუციონურ რუსეთთან, მას საერთო სამშობლოს ვუწოდებდით, მაგრამ არც ერთ წუთს არ გვიფიქრია, რომ რუსეთისადმი სამსახურისთვის გადავიაროთ იმ ხალხთა გვამებზე, რომელთაც ჩვენ თავიანთ წარმომადგენლებად აგვირჩიეს. (ძლიერი ტაში).

ს.-დ. ფრაქციაში იყო აზრთა სხვადასხვაობა დამოუკიდებლობის საკითხში, თუ როდის გამოცხადდეს იგი, მაგრამ იმაში კი მთლიანი და განუყოფელი. ჩვენი ფრაქცია, რომ შექმნილ ალტერნატივის წინაშე, როცა ან უნდა რომელიმე ერი მოგვეკლა ან დამოუკიდებელი ცხოვრება დაგვეწყო, აი ამაში ჩვენ სხვადასხვაობა არა გვქონია. (ძლიერი ტაში).

კარჩიკიანი. „დაშნაკცუთიუნის“ ფრაქციის სახელით მე უნდა განვაცხადო, რომ იგი მხარს მისცემს იმ პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც აქ მთავრობის დეკლარაციაში იქმნა აღნიშნული. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, მე ვფიქრობ, მთავრობას მძიმე მუშაობა მოელის. თვითონ ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობა საზეიმო და მნიშვნელოვან წუთს იყო გამოცხადებული, რომ ეს დამოუკიდებლობა გამოცხადდა ბოლშევიკურ რუსეთის და გარეშე მტრის ზეგავლენით.

არა მარტო პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები, არამედ თვით ამ ჯგუფებში და პარტიათა შორის ამ ძირითად საკითხში არ იყვნენ შეთანხმებულნი და მთავრობის ვალია ყველას ჩაუნერგოს რწმენა გადადგმულ ნაბიჯისადმი, დაანახოს ამიერკავკასიის დემოკრატიას, რომ ეს გზა თავისდათავად სიკეთეა და ნამდვილი გზაა ამიერკავკასიის გადარჩენისათვის. ამ მხრივ მთავრობას მძიმე მუშაობა მოელის. და თუ ასეთ რწმენას ჩაუნერგავს მთავრობა, ეს იქნება დიდი მისი ღვაწლი ამიერკავკასიის წინაშე. მაგრამ თუ ასეთი რწმენა არ იქნება, თუ მერყეობა კიდევ იქნა, მაშინ ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და ვერ მოახერხებს მაგარ საძირკვლის აშენებას სახელმწიფოებრივ წესიერებისთვის. ამას მე ფრაქციის სახელით მოგახსენებთ.

არის მეორე საკითხიც მთავრობის წინაშე—ზავი. ის გარემოება, რომ მთავრობის სათავეში სდგას თავმჯდომარე ყოფილ საზავო დელეგაციისა იმის მაჩვენებელია, რომ ახალ მთავრობას ძალიან სასტიკ მოთხოვნილებას წარუდგენენ. დელეგაცია იმედებით აღფრთოვანებული ჩამოვიდა ტრაპიზონიდან და თავის იმედები სხვასაც გადასცა. ეს ავალებს არა მარტო დელეგაციას, არამედ მთავრობასაც ვექსილის განაღდებას.

არა ნაკლებ მძიმე საკითხია შექმნა ამიერკავკასიის ტერიტორიალურ ერთეულისა. უამისოდ ზავის და მშვიდობიანობის დამყარება არ შეიძლება. მთავრობას ამ მხრივ მოუხდება ბევრ მძიმე დაბრკოლებათა გადალახვა.

აი ამ მთავარ საკითხებში ჩვენი ფრაქცია მხარს მისცემს ახალ მთავრობას და შეეცდება მთავრობის როლის შემსუბუქებას ხალხის მომზადებით და შექმნილ გარემოებისადმი ნდობის ჩანერგვით.

კანტემიროვი. ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ ჩრდილოეთიდან ისეთივე განსაცდელი მოგველის, რაც სამხრეთიდან. ვამბობდით, რომ კავკასია და ამიერკავკასია სტრატეგიულად და ეკონომიურად ისეთ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს კავკასიის დემოკრატიას. დროა შეიქმნას მტკიცე და მთლიანი მთავრობა, რომელიც შეებრძოლება იმ ანარქიას, ჩვენ ქვეყანას რომ სწეწავს და ანაწილებს.

ხემიონოვი. მოვისმინეთ პირველ მთავრობის დეკლარაცია. ჩვენი პარტიის დამოკიდებულება დამოუკიდებლობის გამოცხადებისადმი თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეკონომიურად, პოლიტიკურად და ყოველ მხრივად დრო არ იყო მისი გამოცხადება. ამ თვალსაზრისზე ვიდექ წინა სხდომაზე, იმავეზე ვსდგავარ ეხლაც. მაგრამ ფაქტი მოხდა და ჩვენი პარტია მომხდარ ფაქტს ანგარიშს უწევს.

ჩვენც ვამბობთ, რომ ამიერკავკასიას ორი საფრთხე მოელოდა—ბოლშევიკებისა და გერმანიისგან, ანუ უფრო მართებულად რომ ითქვას, ორივე საფრთხე გერმანიის მხრივ მოელოდა. ეს საფრთხე წინადაც იდგა ამიერკავკასიის მთავრობის წინაშე. ამ საფრთხეებს უნდა ებრძოლონ. ეს უნდა იყოს მთავარი მიზანი მთავრობისა. ჩვენ მოსურნენი ვართ, რომ მთავრობამ შესძლოს ამ მიზნების განხორციელება, რომ სიტყვა „დამოუკიდებელი“ ამიერკავკასიის რესპუბლიკის სახელწოდებაში დარჩეს და რომ მთავრობა შესძლოს დაიცვას დამოუკიდებლობა გერმანიის შემოსევისგან (ტაში).

გვაზავა. დამოუკიდებლობა ერთი თვით ადრე რომ გამოცხადებულიყო, მაშინ ბათომი ჩვენ შეგვრჩებოდა და ვშიშობ ეხლაც, რომ ჩხენკელის სამინისტრო განზრახულის შესრულებას ვერ შესძლებს. მომძლავრებული პარტია არა სახელმწიფოებრივ არამედ კლასიურ ბრძოლის თვალსაზრისზე იდგა. დღეს ეს შეცდომა დაინახეს. მე იმედს გამოვთქვამ, რომ ახალი მთავრობა შეცდომებს გაითვალისწინებს და სწორედ წარმართავს რესპუბლიკის გემს. ჩვენი პარტია ყოველ მხრივ და საშუალებით უთანაგრძნობს მთავრობას და აღუთქვამს დახმარებას.

მაგომედ ზეკოვი (იტტიხადი) ეთანხმება.

თარხანოვი (ს. რ.) მზად ვართ მხარი მოგცეთ, გავიზიაროთ ის ნაწილიც დეკლარაციისა, დამოუკიდებლობას, რომ ეხება, მაგრამ არ გვჯერა ეს დამოუკიდებლობა. ყველა იმ ზომებში, რაც კი დემოკრატიის ინტერესებით იქნება ნაკარნახევი, პარალელური ჩვენი მუშაობით დავეხმარებით მთავრობას.

ლორთქიფანიძე. ჩვენი ფრაქცია ეს-ერებისა და ჩხენკელის კაბინეტს მხარს აძლევს.

გ. ლასხიშვილი. პარტია, რომლის წარმომადგენელი ვარ მე აქ, კმაყოფილებით მიიღებს დეკლარაციას, რომელიც ახალმა მთავრობამ წაიკითხა დღეს სეიმის ტრიბუნიდან. ამ დეკლარაციაში აღნიშნულია ის საკითხები და გარკვეულია ის გზა, რომელსაც ჩვენი პარტია უახლოეს საქმედ უსახავდა სეიმს. ზავის ჩამოგდება, ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავება, ტერიტორიალური გადამიჯვნა ერებისა და სახელმწიფოებრივ ეროვნულ ერთეულების შექმნა, აგრეთვე ბრძოლა ანარქიასთანა და კონტრ-რევოლუციასთან ჩვენის ახალის დამოუკიდებლობის დასაცავად—დიადი საქმეა, რომლის აღსრულებაში ჩვენი პარტია ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ჩხენკელის სამინისტროს, თუ იგი ისეთის ენერგიით აწარმოებს თავის პოლიტიკას, რომელსაც მოითხოვს დიდმნიშვნელოვანი თანამედროვე მომენტი (ტაში).

ფრაქციათა დეკლარაციების მოსმენის შემდეგ არსენიძეს შეაქვს ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლისა, რომელსაც სეიმი ერთხმად იღებს.

სეიმი ამის მერე შეუდგა მთავრობის კანონპროექტის განხილვას ახალ სტილის შემოღების შესახებ. კანონპროექტს ამტკიცებს, იღებს ახალი სტილი შემოღებულ იქმნას 18 აპრილიდან, რის მერე სეიმის სხდომა იხურება.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ხვალ, ოთხშაბათს პირველ მაისს, პარტიულ კლუბში გაიმართება მშრომელთა დღესასწაული, 1 მაისის აღსანიშნავად. სიტყვებს წარმოსთქვამენ ამხანაგები: გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, შალვა მესხიშვილი, აკაკი პაპავა, ვახტანგ კოტეტიშვილი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, მიხ. საყვარელიძე და გიორგი სულთანიშვილი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ამიერკავკასიის და კახეთის რკინის გზების სოციალ-ფედერალისტ მუშათა და მოხელეთა ცენტრალური „კოლექტივი“ იწვევს ამ გზებზე მომუშავე პარტიულ წევრთა მეორე შეერთებულ კრებას სამშაბათს **17** აპრილს საღამოს ზუსტად 7 საათზე ამიერკავკასიის რკინის გზის სამმართველოს საბჭოს დარბაზში. კრების მიზანია—პარტიული ამხანაგების მოხსენებები მომენტის შესახებ და სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა. კრებაზე დასწრება წევრთათვის სავალდებულოა.

სოციალისტ ფედერალისტთა მოწაფეთა კრება დანიშნულია ოთხშაბათს, 1 მაისს (ახალი სტილით) საღამოს 4 საათზე. კრების საგანი: მოწაფეთა კომიტეტის ანგარიშები და სამკითხველო.

საოლქო ცენტრი და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა

საოლქო ცენტრში ოსმალეთთან ზავისა და ამიერკ. დამოუკიდებლობის შესახებ შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: „საოლქო ცენტრმა განიხილა—რა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და მიიღო—რა მხედველობაში ის გარემოებანი, რომელიც თან სდევდა ომისა და საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობას, დაადგინა სცნოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ამიერკავკასიის სრულუფლებიან ორგანოს—სეიმის—მიერ გამოცხადებული, როგორც ისტორიულად აუცილებელი აქტი და ერთად ერთი გამოსავალი დამყარებულ სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობიდან ქვეყანაში, რომელიც იძულებული იყო დაეცვა თავისი დამოუკიდებელი არსებობა, როგორც მოზღვავებულ იმპერიალიზმისაგან სამხრეთით, ისე ყველაფრის განმანადგურებელ ანარქიზმისაგან ჩრდილოეთით. ამასთანავე საოლქო ცენტრი მოუწოდებს მთელი ამიერკავკასიის დემოკრატიას დისციპლინიან არმიის შექმნით დარაჯად დაუდგეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას და რევოლუციის გამარჯვებას.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული ცენტრალური კომიტეტისა